

**შპს „ტობე ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „ტობე ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
ქართულ ლარში

შინაარსი


მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისათა	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
7. ფული და ფულის ექვივალენტები	13
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	13
9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	4	3,967,854	3,629,132
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(3,482,570)	(2,704,360)
მთლიანი მოგება / (ზარალი)		485,284	924,772
ცვეთა და ამორტიზაცია		(36,160)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(624,831)	(400,785)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(175,707)	523,987
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		(175,707)	523,987
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(175,707)	523,987

დირექტორი:

თენგიზ ჩირაძე



	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	198,234	67,317
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		527,975	321,816
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	211,324	209,894
სულ მოკლევადიანი აქტივები		937,533	599,027
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		80,277	720
სულ გრძელვადიანი აქტივები		144,307	720
სულ აქტივები		950,743	599,747
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		348,280	523,987
სულ კაპიტალი		348,280	523,987
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		543,827	67,652
საგადასახადო ვალდებულება		58,636	669
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	7,439
სულ ვალდებულებები		602,463	75,760
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		950,743	599,747

დირექტორი:

თენგიზ ჩირაძე



2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებ ო კაპიტალი	სხვა რეზერვებ ი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	523,987	523,987
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	523,987	523,987
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	523,987	523,987
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(175,707)	(175,707)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	(175,707)	(175,707)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	348,280	348,280

დირექტორი:


თენგიზ ჩირაძე



შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე:	(175,707)	523,987
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
ხარჯის კორექტირება	36,160	0
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	(206,159)	(321,816)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)	129,667	(209,894)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	526,703	75,760
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	310,664	68,037
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მანქანა-დანადგარების შეძენა	(179,747)	(720)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(179,747)	(720)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	67,317	0
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში	130,917	67,317
31 დეკემბრის მდგომარეობით	198,234	67,317

დირექტორი:

თენგიზ ჩირაძე



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტობე ჯგუფი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2019 წლის 22 თებერვალს, საიდენტიფიკაციო კოდი 412744357, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქუთაისი, ა.წერეთლის ქ., №79, ნაკვეთი #1. კომპანიის მესაკუთრეობა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენილია შემდეგი წილობრივი თანამფლობელობით:

თენგიზ ჩირაძე 60002014156 – 25%
თენგიზ კუტივაძე 60001075309 – 25%
ამირან გერაძე 600010754158 – 25%
ლუკა ჯანელიძე 60003000425 – 25%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის წარმოება რეალიზაცია, გზების დაგება. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 30 თანამშრომელი (2019: 15).

1

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მსს) შესაბამისად (გადახედული 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება მომზადდა „ფასს მსს“ სტანდარტების შესაბამისად.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(გ) გადახდილი ავანსი

(გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

(დ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე. ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. შემოსავალი არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები თანხები უკანდაბრუნებული საქონლის, ფასდათმობისა და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადი).

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მშობელი საწარმო სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის

გაზორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ზორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

					აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი	კურსი	2020	წლის	31	3.2766	4.0233
დეკემბერს						
გაცვლითი	კურსი	2019	წლის	31	2.8677	3.2095
დეკემბერს						

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და გაცემა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვთვის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვთვის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვტა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვთვის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
	(წელი)
მანქანა-დანადგარები	8-10

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ზორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალებსა და ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და ნებისმიერ დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს. მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისათა

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, მარაგების შეფასება, ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს: ბეტონის რეალიზაციის თანხას და გზების დაგების შედეგად მიღებულ შემოსავალს.

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ის მოიცავს ნედლეულსა და მასალებს, აგრეთვე გზების დაგებასთან პირდაპირ დაკავშირებულ სატრანსპორტო ტექნიკის იჯარის და სხვა ხარჯებს.

	2020 წელი	2019 წელი
საქონელი და ნედლეული	2,537,065	1,999,850
სატრანსპორტო მომსახურება	729,406	661,270
დამხმარე მასალები	216,099	39,960
სხვა ხარჯი	0	3,280
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,482,570	2,704,360

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
შრომის ანაზღაურება	531,795	158,849
საიჯარო ქირა	0	216,753
სხვა ხარჯები	87,654	24,502
ბანკის ხარჯი	5,382	681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	624,831	400,785

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი 31.12.2020	ლარი 31.12.2019
დასახელება		
ნაღდი ფული სალაროში	79,263	56,227
ფული საბანკო ანგარიშებზე	118,971	11,090
სულ:	198,234	67,317

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი 31.12.2020	ლარი 31.12.2019
დასახელება		
საქონელი და ნედლეული	80,277	76,367
დაუმთავრებელი წარმოება	0	133,527
მზა პროდუქცია	0	0
სულ	80,277	209,894

9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიაში დასაქმებული ზოგიერთი პირი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს. ასევე დაკავშირებული იურიდიული პირისგან ხდება ნედლეულისა და მასალების მოწოდება, საიჯარო მომსახურებების მიღება.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.